დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის“ მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით კუპატაძე

წევრი:

ხათუნა ურუშაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202949159**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2026 წლის 11 თებერვლის MES 3 26 0000150707 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 24 თებერვალს განხორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში (მის: ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულებამ 2026 წლის 16 იანვარს ცენტრს მიმართა განაცხადით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. დაწესებულება 2025 წლიდან ახორციელებს „მასაჟის თერაპია“ პროფესიულ პროგრამას მისამართზე - ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №55. დაწესებულებას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მასაჟის თერაპია“, სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, კონტიგენტის გაზრდის მიზნით სურს პროფესიულ პროგრამაზე არსებული (15 პროფესიული სტუდენტი) კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, სულ 30 პროფესიული სტუდენტი იმიტირებული სწავლების ფორმით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმაში პროგრამის სწავლების ფორმად მითითებული იყო კოოპერაციული, თუმცა ადგილზე ვიზიტის შემდგომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ ავტორიზაცია დაწესებულებას მინიჭებული აქვს იმიტირებული სწავლების ფორმით, აღნიშნული ჩანაწერი იყო ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისად, ექსპერტებს წარმოების ფარგლებში პროგრამა განეხილათ როგორც „იმიტირებული“ სწავლების ფორმით.

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბრძანებებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. 2026 წლის 18 თებერვალს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. 2026 წლის 24 თებერვალს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციებს, გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
მასაჟის თერაპია	15	10	----	--

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები
I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
მასაჟის თერაპია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი განმახორციელებლები, ექსპერტთა მიერ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია: კოლეჯმა უზრუნველყოს ახალი პროფესიული მასწავლებლების გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ე.ნინოშვილის ქ. N55
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	10
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“ ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე ქ. თბილისი, ე. ნინოშვილი ქ. 55, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც შეძენილი და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნული პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 15 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ჩარიცხულა 10 სტუდენტი. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს განემარტათ, რომ გასაუბრებაზე გაცილებით მეტი კანდიდატი იყო მისული, თუმცა შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე მხოლოდ ათმა აპლიკანტმა ძალია ბარიერი.

დაწესებულებას სურს არსებული კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 30 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნულთან დაკავშირებით კი, დაწესებულებამ წარმოადგინა ადგილების მომატების არგუმენტირებული დასაბუთება, კერძოდ: „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული „შრომის ბაზრის ანალიზის 2020 წლის დოკუმენტის“ თანახმად, მასაჟის სპეციალისტზე მოთხოვნამ HR.GE-ზე 24% შეადგინა“. ასევე დოკუმენტში მოცემულია დაწესებულების მიერ შეგროვებული მონაცემთა ანალიზი, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ კვალიფიციური კადრები დეფიციტურია, ვინაიდან ბოლო 6 წელია ამ მიმართულებით სპეციალისტების მომზადება და მათზე კვალიფიციური (სახელმწიფოს მიერ აღიარებული) დიპლომისა და სერთიფიკატის გაცემა არ მომხდარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი A/C და ერთი A გარემო, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით უზრუნველყოფს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით და ყველა საჭირო რესურსით. დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა არსებული კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, ჯამში 30 პროფესიულ სტუდენტზე.

ერთი A/C გარემო განთავსებულია 101 აუდიტორიაში, რომელიც აღჭურვილია: 7 სამ ადგილიანი მაგიდით და სკამით, 1 მასწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 პროფესიული მასწავლებლის ლეპტოპით, 1 პროექტორით, 8 სამასაჟე მაგიდით და სკამით რაც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროფესიულ სტანდარტთან (2 სტუდენტზე 1 სამასაჟე მაგიდა და სკამი), ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის ყველა საჭირო მატერიალური რესურსით.

მეორე A/C გარემო განთავსებულია 306 აუდიტორიაში, რომელიც აღჭურვილია: 20 პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი სამუშაო მაგიდითა და სკამით, 1 მასწავლებლის მაგიდით და სკამით, 1 სამედიცინო ტახტით და სკამით, ასევე პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით.

A გარემო (ოთახი 308) აღჭურვილია: 10 ორ ადგილიანი მერხით და სკამით, 1 პროფესიული მსაწავლებლის მაგიდით და სკამით, ლეპტოპით, 1 პროექტორით და დაფით.

ადგილზე, ექსპერტთა ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ არსებული სასწავლო ფართი და მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობას და ამ ეტაპზე ლოგიკურია კვოტის გაზრდა 15 პროფესიული სტუდენტით, წელიწადში 15 პროფესიული სტუდენტის მიღებით - ჯამში 30 პროფესიული სტუდენტი.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 7 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან (კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით დაემატა 5 ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი). თითოეული მოდულისთვის დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დანართით წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, სერტიფიკატები, დიპლომები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები. სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა მათგანს, სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ მათ ნაწილს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში, ხოლო **იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას დაემატა ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლები, მიზანშეწონილია კოლეჯმა უზრუნველყოს მათი გადამზადება და პროფესიული განვითარების პროცესში ჩართვა, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.**

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„მასაჟის თერაპია“** კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 05 თებერვლის N03-03 ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს და ზრუნავს პროგრამის განვითარებაზე, იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მასაჟის თერაპია“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. ბიბლიოთეკართან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მოწყობილია პროფესიული სტუდენტებისთვის 12 ადგილიანი სამკითხველო სივრცე, განთავსებულია 2 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი და ასლგადამღები ტექნიკა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყავს და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია.

კოლეჯს ამ ეტაპზე ჰყავს ერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა სსსმ პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე სპეციალისტთა გუნდის შეხვედრის ოქმი, ოქმის თანახმად, სპეციალისტთა გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ სსსმ პროფესიული სტუდენტი, შეფასდეს მოდულის/მოდულების სტანდარტულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებთან მიმართებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიიღოს მის მიერ დადასტუდებული შედეგების შესაბამისი დოკუმენტი. შესაბამისად კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, რეგულაციის თანახმად დაწესებულებამ უზრუნველყო ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სსსმ პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც კმაყოფილებით აღნიშნა დაწესებულების თანამშრომლებისა და პროფესიული მასწავლებლების ყურადღება მის მიმართ. ექსპერტები ასევე გაესაუბრნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში, მას ამ ეტაპზე არ სჭირდება დამატებითი ადაპტირებული სასწავლო გეგმა/რესურსი.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ კოლეჯს არ ჰყოლია ინდივიდუალური საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, თუმცა ასეთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში ბიბლიოთეკა მზადაა მოემსახუროს და გაუწიოს მისთვის საჭირო სერვისი, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

.ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „მასაჟის თერაპია“ შედგენილია საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 9 პროფესიული სტუდენტი. შემოსავლების ნაწილში შედის: პროფესიული სტუდენტის ვაუჩერულ დაფინანსებას და პროგრამულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯების ნაწილი მოიაზრებს: პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს; ოფისის ხარჯებს და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“;
- ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

12.03.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: